ჩვენი გზა

№ 12

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაп.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 12 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 12

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11-დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებითა სცხდებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიუბრი

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

თფილისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური ბიურო „სარდაფების მუშათა პროფესიონალურ კავშირთან“ შეთანხმებით ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ „კახეთის“ საზოგადოებას

გოიკოტი მოეხსნა

(3—ნ—2)

პატივი მაქვს ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ქ. ბათუმში **პირველ სექტემბრიდან დავაარსე**

სამკერვალო საზღვაო სასწავლებელი

რომელიც იმყოფება **მარიინის პროსპექტზე მინოვიჩის სახლში № 40**, ვიყვან მოწაფეებს არა ნაკლებ 13 წლისას და ვასწავლი **„კროიკას“** პარიზის მეთოდ დეიტერნაზე, და სხვა და სხვა ხელსაქმეებს, თვეში 5 მანეთად. აგრეთვე ვიღებ ყოველნაირ ზაკაზებს ქალთა ტანისამოსისას და ვამზადებ მშვენიერათ პარიზის უკანასკნელ მოდაზე. ვღებულობ სხვა და სხვა საუკეთესო ურნალებს.

(2—ნ—1) პატ. პ. გ. აბაშიძე

კავკასიის ოლქის სამთო-მადნ. სამ. მართველოს

უფროსის თანაშემწე

დ. ს. მ. ი. ჩენგერი აუწყებს საზოგადოებას, რომ მისი თავმჯდომარეობით, თანახმათ ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის განკარგულებისა, 27 სექტემბერს, 1907 წელს, ქუთაისში, **შესდგება მეათე (საგანგებო) კრება**

შავი ქვის მრეწველთა.

განიხილება შემდეგი კითხვები:

1) საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

2) ქუთაისის კანტორის მოსამსახურეთა უზრუნველყოფა ფულით ან ბინით, თუ კანტორა იქნა გადატანილი ქუთაისიდან ჰიათურაში.

3) უპირატესობა, რომელიც მინიჭებული აქვთ ზოგიერთ ფირმებს გზათა სამინისტროსაგან სხვების საზარალოთ მარგანეცის გაზიდვის საქმეში.

4) რკინის გზის შტოს გაყვანა.

2—ნ—1

ერთ ახალ გაჩაჩარგულების გამო.

—

„მთავრობამ გამსჭვალულია ერთი იდეით, ერთი აზრით—დაამყაროს უფლებრივი წეს-წყობილება, განამტკიცოს კანონი და სამართალი“; ასე მჭევრმეტყველობდა მინისტრთა. საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი სახ. დუმაში, სადაც დიდ უმრავლესობას მტკიცეთ გადაეწყვიტა ხმა, კრინტი არ დაეძრა მინისტრის დეკლარაციის საპასუხოთ. დადუმებული ოპოზიცია იქნებ იმასაც ფიქრობდა, რომ თუ დღევანდლამდე მთავრობის მთელი პოქმედება პირდაპირი წინააღმდეგობა იჩო ზემოხსენებული განცხადებისა, ეგებ ამიერიდან იწყებდეს იგი (მთავრობა) ახალ ეპოქასო. მაგრამ თითოეული ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ადამიანი კარგათ ხედავს, თუ რამდენათ შეესაბამება უფლებრივ წყობილების დამყარებას ყველა ის, რასაც იმპერიის ხალხი განიცდის მინისტრ-პრემიერის დეკლარაციიდან მოკიდებული.

როგორც ცით უფლებრივ წესწყობილების ქვა-კუთხედია კანონის უღრეესობა: „საზოგადოებაში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ადამიანი—თუნდ გვირგვინოსანიც იყოს იგი,—არც ერთი ისეთი ჯგუფი, რომელსაც შეეძლოს მათი (კანონების) შეჩერება, შეცვლა ან გაუქმება. არავინ არ სდგას კანონზე მაღლა. თუ ამ თვალთა ხედვის წერტილიდან მიმოვიხედავთ ჩვენს გარშემო, ერთობ შავ-ბნელი სურათი წარმოგვიდგება. დაბალ სფერაში რომ უფლებრივი ნორმები ფეხ-ქვეშ არის გათელილი და კანონის ნაცვლათ გამეფებულია თვითნებობა და ძალმომრეობა, ამასა ვხედავთ, ამას განვიცდით ყველანი, ყოველ დღე და ყოველ ნაბიჯზე. მარა საქმე ის არის, რომ თვით იქ, სადაც იმყოფება ქვეყნის მართვა-გამგეობის ცენტრი იქაც... ძალიან იშვიათათ და ძალიან ნაკლებათ ხვედავთ კანონისადმი პატივისცემის მაგალითებს.

ფაქტების აღნუსხვა ძალიან შორს წაგვიყვანდა. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ გასულ თვის დამდეგს, 5 აგვისტოს გამოიცა უქაზი, რომელმაც ერთის წლის ვადით კიდევ გაახანგრძლივა იმ განსაკუთრებულ დებულებათა მოქმედება, რომელიც პირველათ შემოღებულ იქნა 14 აგვისტოს 1881 წელს, და რასაც გაზ. „რეჩმა“ სამართლიანათ უწოდა „დაკანონებული თვითნებობის სისტემა“ მთავრობის ამ განკარგულებამ, რასაკვირველია, აღაშფოთა საზოგადოება და პრესა, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა თვით 24 აპრილს 1906 წ. ძირითად კანონებს, სადაც აღიარებულია, რომ „ვერც ერთი საკანონმდებლო აქტი ვერ შევა ძალაში, უკეთუ მიღებულ არ იქნება სახ. დუმასა და საბჭოსაგანო“. მაშინ სამინისტრომ განმარტა, რომ კანონის მოქმედების გახანგრძლივება სრულებითაც არ უღრის ახალ კანონის გამოცემას, არ არის საკანონმდებლო აქტი ძველი კანონის გამოცემაო და სხ...

ამ დღეებში სამინისტრომ კიდევ ახალი ნაბიჯი გადასდგა „უფლებრივ წესწყობილების და კანონიერების დამყარების“ ასპარეზზე. გამოიცა ასეთი ახალი განკარგულება: „იმპერიის იმ თითოოროლა ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არ შემოღებულან არც ერთ კატეგორიაში განსაკუთრებული მდგომარეობა, მაშასადამე, არც განსაკუთრებული კანონები მოქმედებენ, აი ასეთ მხარეში თუ ვინმე ჩაიდენს დანაშაულობას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევს ადგილობრივ ადმინისტრაციისას, ამ უკანასკნელს შეუძლია სათანადო რეპრესიების მისაღებათ საქმე აცნობოს შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, თუ საჭიროთ დაინახავს, თანახმათ კანონისა (იხ. 31 მუხლი „დებულება სახელმწიფო წყობილების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის შესახებ) და იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით დამნაშავეს მისცემს სამხედრო სამართალში, რათა განსჯილ იქნას თანახმათ სამხედრო მდგომარეობის კანონებისა“; ე. ი. საქმე მიიღებს იმავე მსვლელობას, ვითომ იმ კუთხეში, სადაც დანაშაულობა იქნა ჩადენილი, უკვე რაიმე განსაკუთრებული მდგომარეობა ყოფილიყოს შემოღებული.

მაგრამ თვით ძირითად კანონების მე-15-ტე მუხლის ძალით განსაკუთრებულ მდგომარეობის თუ კანონების შემოღება შეუძლია მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორს. მთავრობის ახალ განკარგულებით ეს შეუძლიათ აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს და იუსტიციის მინისტრს. ამრიგათ, მინისტრებს—აღმასრულებელ ორგანოს წევრებს ეძლევათ საკანონმდებლო ფუნქცია. მათ შეუძლიათ ამა თუ იმ კუთხეში გააუქმონ ერთგვარი კანონების მოქმედება, შეუძლიათ აამუშაონ მეორე გვარი კანონები; ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი თვალით შეხედავენ საქმეს ბ-ნი მინისტრები და მათი ხელქვეითნი...

აი, ასეთი ვითარება აიძულებს თვით უზომიერეს გაზ. „სლოვოს“ დაიჩივლოს: „უკანასკნელ დროს სრულიად დაიკარგა წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის კანონიერი და რა არის უკანონო, რა არის ნება-დართული და რა არის ნება დაურთველი; მიჯნა ამ სფერათა შუა ძალიან მოძრავი გახდა... რაც კანონიერია პეტერბურგში, ის უკანონოა მოსკოვში და მრავალ სხვა ქალაქებში, აგრეთვე უკუღმა... დაბოლოს, რაც ნებადართულია ერთისთვინ, ის ნებადაურთველია მეორესთვინ, რაც ეპატიება „სოიუზნიკებს“ (შავრაზმელებს) და ოქტომბრისტებს, ის არ ეპატიებათ მშვიდობიან განახლების მიმდევართ და კადეტებს, უფრო მემარცხენეებისთვის ხომ რაღა ჩიჩინი უნდა...“

დიახ, თვითნებობას და ძალმომრეობას ფართეთ დაუდგამს თავისი ტახტი, მაგრამ მინისტრ-პრემიერი სტოლიპინი მაინც კვლავ ამეტყველდება მესამე სახ. დუმაში: „მთავრობა გამსჭვალულია ერთის იდეით, ერთის აზრით, დაამყაროს უფლებრივი წესწყობილება, განამტკიცოს კანონიერება...“

ახალი „კადეტების დამჭაშები“.

II

გუშინდელ მეთაურში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ სასაცილოთ აიღო ცხოვრებამ ბოიკოტისტური ტაქტიკა და თუ როგორ, შეგნებულ პროლეტარიატის „მრისხანე“ ბოიკოტის მიუხედავათ, დუმა მაინც შესდგა, სოც.-დემ. ბოიკოტმა მხოლოდ დიდი ზარალი მოუტანა როგორც თვით ს. დ., ისე მთელ მოძრაობას. ცხოვრებამ იოტის-ოდნავაც არ გამოიჩინა იმისი სურვილი, რომ ბოლშევიკების „პლანები“ აესრულებია, მათი **სურვილის** თანახმათ, დუმა უკუ-ეგდო და მათი ხათრისთვის მათი საოცნებო „გალაშქრების“ გზას დადგომოდა, პირიქით, ცხოვრების მთელი მსვლელობა დღითი დღე სულ უფრო ააშკარავებდა ბოლშევიკების ტაქტიკის უნიადაგობას, და თუმცა ესენი თავიანთ ძვალსა და რბილში გამჯდარ ტაქტიკის ერთბაშათ უკუგდებას ვერ ახერხებდენ, მაგრამ იძულებული ხდებოდენ დუმისათვის ანაგარიში გაეწიათ და მათაც საჭიროთ დაინახეს მასში მონაწილეობის მიღება. მიიღეს კიდეც მონაწილეობა, მაგრამ რადგან მათში ჯერ ისევ „პლანების ტაქტიკა“ იყო გაბატონებული, ამიტომ დუმაც მათ მხოლოდ **თავიანთი „პლანების“ ასასრულებლათ** სურდათ გამოეყენებიათ. ამასთან ისინი კვლავ განაგრძობდენ მეცადინეობას, რომ დუმა, რაც შეიძლება, საჩქაროთ და სრულიად მოეცილებიათ თავიდან, რადგან, მეორე მხრით, მისი დიდხანს არსებობა, მათი აზრით, დააბრკოლებდა მათი „პლანების“ განხორციელებას.

და აი, როცა მეორე დუმის გარეკის შემდეგ გამოირკვა, რომ ხალხი გულს იცრუებს დუმაზე და ამნაირათ ბოკოტისათვის ახლა კი ფართო ასპარეზი ჩნდება, რაიც შესაძლებელს ყოფს ახლა მაინც დუმის ჩაშლასო, ბოლშევიკებს კვლავ მძლავრათ აუთამაშდათ თავიანთი ბოიკოტისტური „ინსტიქტები“ და დაკრეს ბუკი და ნაღარა—ხალხს დუმა აღარ სურს, ძირს დუმაო! ახლა ხალხი ისევ პირდაპირ რევოლიუციონურ მოქმედებას ამჯობინებსო, ამისათვის უკვე მზადდება ობიექტიური პირობები: ხალხის ფართო მასა დარწმუნდა, რომ ზევიდან მას არაფერი მიეცემაო, მისი ეკონომიური მდგომარეობაც სულ უფრო გამწვავდა და ყოველივე ეს მოძრაობის ახალ აზვირთებას ამზადებსო. ამნაირათ დღევანდელი მდგომარეობა კვლავ ქმნის პირობებს „პლანების“ განსახორციელებლათო.

მაგრამ არ გეგონოს, მკითხველო, თითქო ასე მსჯელობდენ დღეს **ჯგუფად** ბოლშევიკები. ასე მსჯელობს მხოლოდ ის ნაწილი მათი, რომელიც პოლიტიკურათ უფრო ნაკლებ მომწიფებულია და რომელშიაც ამასთან უფრო მაგრათ აქვს ფეხი გამდგარი ბოიკოტისტურ მისწრაფებას. სხვანაირათ უცქერის საქმეს ბოლშევიკების მეორე, უფრო მოწინავე ნაწილი. ბოიკოტისტურ მისწრაფებაზე უფრო ძლიერი გავლენა ამათზე აქვს მეტ პოლიტიკურ „ყნოსვას“, რომელიც მათ ამბადიათ, და თვით ცხოვრების აშკარა ფაქტებს. ესენი ხედავენ, რომ დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ყველაზე უფრო ნაკლებათ უწყობს ხელს მათი „პლანების“ ასრულებას და დარწმუნებული არიან, რომ დღევანდელ საერთო მოდუნების დროს დუმა არა თუ ზედ-მეტი არ გახდა, არამედ დღეს-დღეობით იგი დარჩა ჩვენს ხელში ერთად-ერთ ფართო საშვალებათ კვლავ მოძრაობის გამოსაცოცხლებლათ. ყოველ შემთხვევაში, ფართო მასსის შეგნების გასაუმჯობესებლათ.

აი შეხედულებათა ასეთი სხვადასხვაობის გაჩენის ნიადაგზე აღმოცენდა ბოლშევიკებს შორის ის განხეთქილება, ის არევ-დარევა მათ ბანაკში, რომელზედაც გუშინდელ წერილში მიგითითეთ. ყველაზე უფრო მკაფიოთ ეს არევ-დარევა გამოხატა იმ ფაქტებში რომ, **ბოლშევიკურ** სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილების წინააღმდეგ, პეტერბურგის **ბოლშევიკურმა** საერთო კონფერენციამ გადასწყვიტა ს. დ. მონაწილეობა არ მიიღოს არჩევნებში, თუ მუშათა უმრავლესობა ბოიკოტის მომხრე იქნებაო. კონფერენციის ასეთ გადაწყვეტილებას, წინააღუდგა ბოლშევიკური ც. კ. და გააუქმა იგი. წინააღუდგა ხსენებულ გადაწყვეტილებას თვით პეტერბურგის ბოლშევიკური კომიტეტიც და მანაც უარყო იგი. ამას გარდა, ბოლშევიკების ერთი ნაწილი, სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილების მაუხეშავათ, კვლავ ბოიკოტის ჭადაგებას განაგრძობს მუშებში და მოწინააღმდეგე ბოლშევიკებთან კამათის დროს ისინი (ბოიკოტისტები) არ ინდობენ თვით მთავარ მოძღვარს ბოლშევიზმისას ლ—ს და მკვახე სიტყვებით უმხპინძლდებიან მას, იმავე სახელით—„კადეტების დამჭაშს“ სახელით—ნათლავენ მას, რომელიც სწორეთ მან მოიგონა მენშევიკების შესახებ.

ასე ამნაირათ აირია ამ ჟამათ ბოლშევიკების მონასტერი და იქ დღეს „ძალი პატრონს ვეღარ იცნობს“. მათი უფრო მოწინავე ნაწილი მთავარ ლიდერების მეთაურობით „კადეტების დამჭაშები“ ხდებიან, **ესე იგი** მენშევიკებიდან. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვატყუებთ ჩვენს თავს იმ იმედით, თითქო ბოლშევიკების ეს ნაწილი უკვე მტკიცეთ დადგომოდენ გამენშევიკების გზას, მაგრამ ჩვენ მიერ ზემო-აწერილი უნუგეშო სურათი ბალშევიზმის დღევანდელ მდგომარეობისა ნათლათ გვიმტკიცებს ყოველ შემთხვევაში იმას, რომ ცხოვრების უღმობელმა რკინის კანონმა უკვე საგრძნობლათ გამოუთხარა ძირი „ძლევამოსილ“ და „გაკეკებულ“ ბოლშევიზმის და მის მიმდევართა მოწინავე ნაწილი. **ასე თუ ასე** მენშევიზმისაკენ გადახარა.

განსაცდელის უსაფუძვლო მოლოდინი.

—

ამას წინათ ბ-ნმა კიზევეტერმა ჩვენ პარტიას უსაყვედურა, რომ დღესაც, როცა რეაქცია იმუქრება განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველგვარი ტენდენცია აღმოფხვრას, ამ პარტიას მაინც მიზნათ აქვს ებრძოლოს კადეტებს და არა რეაქციასო. ამ საყვედურის სიფუძვლიანობას ბ-ნი კიზევეტერი ამტკიცებდა მით, რომ გვითითებდა სოციალდემოკრატიულ პარტიის საარჩევნო პლატფორმაზე და ამცნევდა რუსეთის თავისუფალ-მოაზროვნე „მოქალაქეს“: „უანგარიშობა იქნება არჩევნებში მხარი დაუჭიროთ ისეთ პარტიას, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი უდიდესი მოვალეობა ქვეყნის წინაშეო.

მე ძლიერ შორსა ვარ იმ მოსაზრებისაგან, რომ დავიცვა ჩვენი საარჩევნო პლატფორმა. მე ვგონებ, რომ ეს პლატფორმა ვერაა რიგიანათ შედგენილი. ვიტყვი მეტსაც! გარდა იმისა რომ პლატფორმა **უხერხულათაა დაწერილი**, ის **ცუდათ მოფიქრებულიცაა** და ეს, რასაკვირველია, უმთავრესი მხარეა. როცა ამას ვლაპარაკობ, მე სრულს ანგარიშს ვაძლევ ჩემთავს. ვიცი, რომ ეს ქება არ არის ჩვენი პარტიის. უხეიროთ მოფიქრებული და უხერხულათ დაწერილი პლატფორმა—უნდა ჩაითვალოს ისეთ შეცდომათ, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენ პარტიაში ყველაფერი კარგათ ვერ არის. ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ჩუმათ გვერდი აუაროთ ასეთ არა სასურველ მოვლენებს, მაგრამ ამავე დროს ვფიქრობთ, რომ არც ისე ცუდათაა საქმე, როგორც მოეჩვენება ამა თუ იმ „მოქალაქეს“, რომელიც წაიკითხავს ბ-ნი კიზევეტერის წერილს და გაეცნობა ჩვენი პლატფორმის ნაკლულევანებებს.

ჩვენს ფანჯარაში გარდა უხერხული საარჩევნო პლატფორმისა სხვა შუქიც ანათებს. ჩვენ გვაქვს საერთაშორისო პროლეტარიატის ტრადიცია; ჩვენა გვაქვს მაგალითი ჩვენი გენიოსი მასწავლებლის. მე ვფიქრობ, რომ ეს მაგალითი ყველას ჩვენგანს ერთნაირათ, ანუ თითქმის ერთნაირათ, უნდა გვარწმუნებდეს. მე შემთხვევა მქონდა წინათაც მიმეთითებია ამ მაგალითზე. მეტი არ იქნება თუ აქაც კიდევ აღნიშნავთ იმავ მაგალითს.

ერთ დროს კარლ გეინცენმა იმის მზგავსი საყვედურით მიმართა გერმანიის კომუნისტებს, როგორც დღეს გვესმის ბ-ნ კიზევეტერისაგან. გეინცენმა სთქვა: გერმანიის კომუნისტები იმდენათ ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ არ იბრძვიან, რამდენათაც ლიბერალური ბურჟუაზიასთანო. ეს იყო 1847 წელს, როცა ჯერ კიდევ დათრგუნვილი არ იყო ძველი, მრავალთავიანი ნემეცური აბსოლიუტიზმი. გეინცენს მარქსმა უპასუხა შემდეგი მეტათ საგულისხმო სიტყვებით:

„გერმანიის მუშებმა ძლიერ კარგათ იციან არა მარტო ის, რომ ბურჟუაზია მათ დაუთმობს გაცილებით მეტს, ვინემ აბსოლიუტიზმი, არამედ იციან ისიც, რომ იგი, ბურჟუაზია, წინააღმდეგ თავისი ნების და სურვილისა, საკუთარი წარმოების და ვაჭრობის გულისთვის ქმნის ნიადაგს მუშათა კლასის შეერთებისათვის; მუშათა შეერთება კი უმთავრესი პირობაა მათი გამარჯვებისათვის“.

ცხადია, როცა მარქსი ამბობდა: „გერმანიის მუშებმა მშვენივრათ იციანო, მას სახეში ყავდა გერმანიის **შეგნებული, მოწინავე მუშები.** რუსეთში დღეს ასეთი მუშების რაოდენობა პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით მეტია, ვინემ მაშინდელ გერმანიაში იყო. და ეი, მე ვეკითხები რუსეთის ასეთ მოწინავე მუშებს; იციან თუ არა **მათ** ის, რაც მარქსის სიტყვით, **გერმანელმა მუშებმა** იცოდენ სამოცი წლის წინათ? იციან თუ არა, რომ მათ არავითარი საფუძველი არ აქვთ ძველი წესწყობილების ტლანქი ულელი ამჯობინონ ბურჟუაზიის პირდაპირ ბატონობას? იციან თუ არა შეგნებულმა მუშებმა, რომ ბურჟუაზია თავისი ნების წინააღმდეგ ქმნის ნიადაგს პროლეტარიატის შეკავშირებისათვის და იძულებული იქნება, შედარებით აბსოლიუტიზმთან, გაცილებით მეტი დაუთმოს პროლეტარიატს? მოკლეთ რომ ვთქვათ, იციან თუ არა მათ, რომ თუ ლიბერალური ბურჟუაზია დასძლევს ძველ წესწყობილებას, ეს დაეჩქარებს პროლეტარიატის გამარჯვებას თვით ლიბერალურ ბურჟუაზიაზე? თუ ყოველივე ეს გაგებული აქვთ ჩვენ მოწინავე მუშებს, და მე ვფიქრობ, რომ ეს გაუგებელი არ უნდა დარჩენოდეს მათ, მაშინ მათი, მუშების, ტაქტიკა არჩევნების დროს თავისთავათ ცხადია: მუშები უნდა გაურბოდენ ყოველ ნაბიჯს, რომელიც შეასუსტებს ლიბერალური ბურჟუაზიის ოპოზიციას ძველ წესწყობილებასთან ბრძოლის დროს, როგორც უსაშინელესს შეცდომას და ყოვლათ სამარცხვინო მოქმედებას.

ვინც ეს მარტივი, ცხადი და უცილობელი ჭეშმარიტება შეიგნო, მას უხერხულზე უხერხული საარჩევნო პლატფორმაც კი ვერ აუბნევს გზას; მას ვერ შეუშლის ხელს ამგვარი პლატფორმის ვერც ლოდიკური ნახტომები და ვერც დოქტრინური ფრაზეოლოგია, რომ იმოქმედოს მეცნიერული სოციალიზმის დედააზრის და საერთაშორისო პროლეტარიატის ტრადიციების თანახმათ.

ამ უცილობელი ჭეშმარიტების სიმარტივე და სიცხადე თავდებია იმისა, რომ იგი თავის ბრწყინვალე ნათელს მოფენს იმათაც კი, ვინც მოცულია ჩლუნგი დოქტრინიზმის წყვდიადით. ასეთი გონების პატრონებისთვისაც შესაძლებელი გახდება ჭეშმარიტი შეხედულება შეითვისონ, როცა ხედავენ, რომ მოუხერხებელია მარტო ფრაქციული განხეთქილებით ცხოვრება, როცა ცხოვრება გვავალებს ნამდვილი საქმე ვაკეთოთ და უდიდეს პოლიტიკურ მოკალთობას პასუხი გავსცეთ. რომელი ჩვენგანი არ შეძრწუნდება, როცა წარმოიდგენს, რომ ის ხელს უწყობს შავრაზმელთ? მაგრამ ვთქვათ არ გამართლდა ასეთი იმედი, ვთქვათ არ გასწორდენ დოქტრინერები! ამ შემთხვევაშიაც არ შეგვიძლია ჩვენ ვიფიქროთ, რომ ჭეშმარიტი ტაქტიკის საქმე დაღუპულია. უეჭველია, ჩვენ შორის გაცილებით მეტია ისეთები, რომელთაც შეუძლიათ ზემო მოყვანილი მარტივი და ცხადი ჭეშმარიტება გაიგონ და შეითვისონ, ვინემ გაუსწორებელი დოქტრინიორები ასეთები განსაკუთრებით ბევრია მუშებს შორის, რომელთაც არ გადასდებია ფრაქციული ფანატიზმი. ასეთები უშველიან საქმეს წინააღმდეგ დოქტრინერების სურვილისა. ასეთ მუშებზე მეტი გავლენა ექნება **სულს ჩვენი მოძღვრებისას,** ვინემ რომელიმე რეზოლიუციის ან პლატფორმის ანა-ბანას. სწორეთ ამიტომაა, რომ მე, თუმცა სრულიადაც არ ვფარავ ჩვენი საარჩევნო პლატფორმის ნაკლს, მაინც ნებას მივცემ ჩემ თავს ვთქვა, რომ ბ-ნი კიზევეტერი სრულიად უსაბუთოთ შიშობს. რუსეთის პროლეტარიატის პარტია თავის მოვალეობას არ დაივიწყებს. როგორიც უნდა იყვნენ მისი ზოგიერთი ელემენტები, ის მაინც ვერ იქნება შავრაზმელთა ხელის შემწყობი.

გ. პლეხანოვი.

პოლიტიკური მიმოხილვა.

შრომასა და კაპიტალის ბრძოლა ქ. ლოძში. თავზარდამცემი ამბები ხდება ქ. ლოძში, აგერ მეორე წელიწადია. არსად რუსეთის იმპერიაში ისეთი უკუღმართი ფორმები, ისეთი გამწვავებული ხასიათი არ მიუღია ბრძოლას შრომასა და კაპიტალს შორის, როგორც ამ დაწინაურებულ სამრეწველო ქალაქში. დღე არ გაივლის ისე, რომ დეპეშამ ლოძიდან ამბავი არ მოიტანოს ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ქარხანაში ერთმა მუშამ მეორე მუშა მოკლა პარტიულ ნიადაგზეო, ან კიდევ მუშებმა ხაზეინები მოკლესო და სხ... თავისთავათ იგულისხმება, რომ ამ საზარელ მოვლენის მთავარი მიზეზი ხაზეინები და მათი მოქმედებაა. ეს ვაჟბატონები ერთი მხრით რომ ლოკაუტების შემწეობით აუარებელ მუშებს ქუჩებში ერეკებიან და შიმშილით სულს უმწარებენ, მეორე მხრით, სარგებლობენ რა მათი ასეთი გაჭირვებით და აგრეთვე მათი უმეცრებით, ახერხებენ სხვადასხვა გვარი ხრიკებით მათი უფრო შეუგნებელ ნაწილის თავის მხარეზე გადაბირებას, თავიანთ პარტიაში წევრებათ ჩარიცხვას, და უფრო შეგნებულ ამხანაგებზე მტრებათ გადაკიდებას. ამნაირათ ქმნიან ისინი მუშებში, ნოყიერ ნიადაგს ძალმომრეობის და მკვლელობის აღმოსაცენებლათ, როგორც თავიანთ წინააღმდეგ, ისე თვით მუშებისავე წინააღმდეგ. საქმეს ერთი ორათ კიდევ უფრო ამწვავებს (იმის მაგივრათ, რომ მის განელებას ცდილობდეს) „მესამე მხარე“, რომლის მოვალეობას, მისივე რწმენებით, შეადგენს შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის გაწესრიგება. აი შემაძრწუნებული მაგალითი: როგორც მოგეხსენებათ, ამას წინათ ლოძში მუშებმა მოკლეს თავისი „ხაზეინი“ ვინმე ზილბერშტეინი. ამ დღეებში „ურთიერთობის გამწესრიგებელმა **„მესამე მხარემ“** ამ საქმის თაობაზე 8 მუშა (მათ შორის ერთი ქალი) ყაველათ გაუკითხავათ წუთისოფელს გამოასალმა, დახვრიტა... გაზეთები გადმოგვცემენ, რომ 3 დახვრეტილთაგანს მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა, დანარჩენებს კი მხოლოდ ის ბრალი ედებოდათ, რომ მათ **მკვლელობისადმი თანაგრძნობა ემჩნეოდათ.** ასეთი პირუთვნელი „გასამართლებით“ ცდილობენ შრომისა და კაპიტალის მორიგებას! თუ „მესამე მხარემ“ ასეთი მიუდგომლობით მიიღო ლოძის მექარხნეთა შუამდგომლობა, რომ მათ ნება მიეცეთ მუშათაგან თავის დაცვის ორგანიზაცია მოაწყონ, უეჭველია, ის არ დააყოვნებს მის დაკმაყოფილებას, და ეს, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაამწვავებს დამოკიდებულებას. იმავე „მესამე მხრის მიერ წაქეზებული ლოძელი მექარხნეები მზათ არიან თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მას ლოძში პოლიციის გასაძლიერებლათ და ეი ამ დღეებში მათ გადუწყვეტიათ დაარსდეს ლოძში 4 ახალი საპოლიციო ნაწილი, მოემატოს პოლიციას 1,000 კაცი, მოემატოს „გოროდოვოებს“ ჯამაგირი 35 მანეთამდე, შეიარაღონ ისინი არა მარტო ბრაუნინგებით, არამედ მაუზერებითაც და სხ. პოლიციის ასეთი რეორგანიზაციისაგან გამოწვეულ ზედმეტ წლიურ ხარჯს 480,000 მან. კისრულობენ თვით მრეწველები, ვაჭრები და ფინანსიური დაწესებულებანი.

ახირებული განმარტება

სენატის აუარებელ ახირებულ განმარტებათა გროვას კიდევ მიემატა ერთი ასეთი განმარტება, რომლის ძალითაც **ამ ებრაელებს,** რომლებსაც უფლება აქვთ —საცა უნდათ, იცხოვრონ, **უფლება არა აქვთ ებრაელი ოჯოლიოს მოსამსახურე** ყავთ. მაგრამ ახირებულათ ეს განმარტება იქნება მხოლოდ ჩვენ, პოლიტიკურ უმეცრებს, გვეჩვენება, თორემ, ვინ იცის, რა „უმაღლესი პოლიტიკა“ უძევს მას სარჩულათ! ჩვენ რა ვიცით, თუ რა საიფათოა „სახელმწიფოსათვის“—ებრაელი ხაზეინი და ებრაელი მუშა, რომ ერთ ჭერ ქვეშ მოექცევიან? ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ხაზეინებსა და მუშებს შორის კლასობრივი უთანხმოებაა, თუნდაც ორივე მხარე ერთ და იმავე ნაციას ეკუთვნოდენ და თუნდაც ერთ და იმავე ჭერ ქვეშ ცხოვრობდენ. სენატმა კი, ალბათ, ისიც იცის, რომ ებრაელები თუ ერთ ჭერს ქვეშ მოექცენ, თუნდაც ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასებს ეკუთვნოდენ, მაინც უეჭველათ: „კრამოლას“ გააკეთებენ. „კრამოლა“ ხომ სულ ებრაელების მოგონილია! და რაც უნდა ჩვენ უცნაურათ გვეჩვენოს ვისმესთვის იმის აკრძალვა, რომ ვინც სურს, ის დაიყენოს მოსამსახურეთ; რაც უნდა ჩვენ გვეუცხოვებოდეს და გვაშფოთებდეს კერძო ცხოვრებაში გარეშე ძალის მაგიერ ასე მოურიდებლათ ხელის ფათური და ამ ცხოვრების ასეთი ახირებული რეგლამენტაცია, ჩვენ ყოველივე ამას უნდა შევურიგდეთ, რადგან **„თვითონ უკეთ იციან“,** ალბათ ამას მოითხოვს „სახელმწიფოს“ ინტერესები! და ამას გარდა, უველაფერი ეს ხომ „საზიზღარ ჟიდებს“ შეეხებათ, რომლებიც „სახელმწიფოს“ მუდამ ძირს უთხრიან! აუარებელ სხვა შევიწროებასთან ერთათ ამ ვაჟბატონებმა დეე, ეს სასჯელიც იწვნიონ! იქნებ ჰკუას ჩაჰხდენ! ასე მსჯელობს ალბათ სენატი.

ახალი ამბები

სექტანტების საარჩევნო კრება. 17 სექტემბერს საღამოს 8 საათზე ადმინისტრაციის ნებართვით მოხდა სექტანტების მიერ არჩეულ რწმუნებულების კრება „ვიბორშჩიკების“ კანდიდატების აღსანიშნავათ. კრებას დაესწრენ სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. პირველათ ილაპარაკა „რუსთა კავშირის“ წარმომადგენელმა ტიმოშკინმა. იგი თავის სიტყვაში მოუწოდებდა სექტანტებს შეერთებოდენ „რუსთა კავშირს“ და მასთან ერთათ აერჩიათ სახ. სათათბიროში რუსთა ინტერესების დამცველი. ტიმოშკინის სიტყვამ უკმაყოფილება დაბადა სექტანტებში, მათ განაცხადეს: ჩვენ ვცნობთ იმას, ვინც დაიცავს ჩვენს ინტერესებსო და ვეცდებით მის გაყვანას სათათბიროშიო. შემდეგ ილაპარაკა ი. ბრიხნიჩევმა. მან მოუწოდა სექტანტებს წარმოედგინათ თავიანთი წარსული, ვინ სტანჯავდა მათ და ვინ ცდილობდა ტანჯულთა განთავისუფლებას. სექტანტები უნდა დრმათ ჩაიფიქრდენ და აირჩიონ იმის თანა კაცი, რომელიც ბოლო კრებების და ცხოვრების მთხრობელი იყოს მისი წინააღმდეგიო. მისმა სიტყვამ დიდი გავლენა იქონია დამსწრე სექტანტებზე. ეს ვერ მოითმინეს ზოგიერთ „რუსთა კავშირის“ წევრებმა და ასტეხეს აურზაური, რის შემდეგ პოლიციამ კრება დახურულათ გამოაცხადა.

ჯგუფის თხოვნა. ნაძალადევში მცხოვრებ ერთმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა ქალაქის საბჭოს ნება დართოს მათ, შეეძლოთ უფასოთ საღილის წაღება სახლში ნაძალადევის იაფ-ფასიან სასადილოდან.

კესინოვის თხოვნა. სახელოსნო სკოლის მოწაფეთ ნამყოფს, ამას წინეთ გამართლებულს ივანე კესინოვს თხოვნა შეუტანია სასწავლებლის გამგეობაში, რათა ის უკან იქნეს მიღებული სასწავლებლში.

მკერვალების საყრადღებოთ. თფილისის მკერვალთა უპარტიო კავშირი აცხადებს უმუშევართა დარჩენილ სხვა ქალაქების მკერვალთა საყურადღებოთ ნუ ჩამოვლენ თფილისში ადგილების საძებნელათ, რადგანაც აქ კრიზისია და ადგილობრივი უმუშევრებიც ბევრია.

ჩხრეკა დი დაპატიმრება. 17 სექტემბერს ღამით 1 საპოლიციო ადმინისტრაციამ გაჩხრიკა დუქანი გოლა ბროძელისა მტკვრის პირას სატივოზე, აღმოაჩინა ორი პატარა ყუთი სავსე პატრონებით, დაპატიმრა გოლა ბროძელი და მასთან დუქანში მყოფი რამდენიმე კაცი.

ქალაქის ტეხნიკების კრება. 20 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ტეხნიკ ხმოსნებისაგან შემდგარი კომისიის კრება. კრება იქონიებს მსჯელობას ავჭალისა და ნაძალადევის ელექტრონული კონკის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

თფილისის გუბერნატორმა ქალაქის საბჭოს გაუგზავნა ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა, იმაზე თუ რა საშუალებით უნდა ხდებოდეს ღორის ხორცის დამარილება.

განთავისუფლება. გაანთავისუფლეს ციხიდან ამას წინათ დატყვევებული ქალაქის ხმოსანი მ. ი. სვეჩნიკოვი.

ლექცია. დღეს, 19 სექტემბერს, პუშკინის სამკითხველოში ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე სათაურით „ქართული ენა“.

სახალხო ლექცია. კვირას 23 სექტემბერს ზუბალოვის სახალხო სახლში ი ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას ინგლისის მწერალ დიკენსის შესახებ.

ქალ. საბჭოს დადგენილება. ქალაქის საბჭოს დადგენილებით ბ. ვართანოვისათვის ჩამოურთმევიათ ყასაბხანის ექიმობის თანამდებობა და მიკროსკოპიუ-

---

გუშათა კოშუნალური პოლიტიკა

შრომის ბირჟა.

ერთი სიტყვით, მუშათა კლასი, ჩვეულებრივ, კომუნალურათ მოწყობილ შრომის ბირჟას ძალიან სიმპატიურათ უცქერის და ცდილობს მის გაძლიერებას. ზოგიერთა პროფესიონალურ კავშირის წრეები, როგორც მაგ. სამხრეთ გერმანიის პროფესიონალური კავშირები, კომუნალურ შრომის ბირჟას უნდობლათ ეკიდებიან, ვინაიდან მთელი შრომის ბირჟის ინსტიტუცია და საერთოთ მთელი კომუნალური მართვა-გამგეობა დღეს-დღეობით ბურჟუაზიულ პარტიების ხელშია, რომლებიც ყოველ დაწესებულებას თავის სასარგებლოთ ხმარობს. ესენი საქვეყნოთ აღიარებდენ მხოლოდ პროფესიონალურ კავშირების შრომის ბირჟის სამართლიანობას და დაჟინებით გაიძახოდენ და დღესაც გაიძახიან, რომ მუშა ხელის შუამდგომლობა მხოლოდ მუშათა კლასის ხელში უნდა იყვესო, ეს მთავარ პრინციპს უნდა შეადგენდეს პროფესიონალურათ მოწყობილ მუშებისათვისო. როგორც ვთქვით, ასე უყურებენ კომუნალურ შრომის ბირჟას დაწესებულებას, მხოლოდ სამხრეთ გერმანიის ზოგიერთა პროფესიონალური კავშირები, დიდი ნაწილი კავშირებისა კი, მომხრენი არიან კომუნალურათ მოწყობილ შრომის ბირჟისა. პროფესიონალურ კავშირების შრომის ბირჟებთან ერთათ უნდა იყოს და არსებობდეს კომუნალური შრომის ბირჟები, რომლებიც თავიანთ მოქმედებით დიდათ ეხმარებიან პროფესიონალურ კავშირებს, განსაკუთრებით საცა პროფესიონალური კავშირები, სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ შრომის შუამავლობას; სოციალურ და ეკონომიურ მიზეზების გამო მუშაობა კლასი იძულებულია მიემხროს და ისარგებლოს თანამედროვე კომუნალურ შრომის ბირჟის არსებობით. მას გარემოება აიძულებს სათანადოთ გამოიყენოს ასეთი დაწესებულება. ჩვეულებრივ კი პროლეტარიატის მთავარი მიზანია შრომის შუამავლობა მხოლოდ პროფესიონალურ კავშირების ხელში იყოს, ეს ინსტიტუცია მხოლოდ მათ ექვემდებარებოდეს; მართალია დღევანდელ პირობებში პროფესიონალურ კავშირებისთვის ამ მიზნის განხორციელება იდეალია, მაგრამ მაინც იგი, სამხრეთ გერმანიის პროფესიონალურ კავშირებთან ერთათ, პრინციპიალურათ დიდი მოძხრეა მისი და დღეს-დღეობით ცდილობს კიდეც, საცა კი შესაძლებელია, მის პრაქტიკაში გატარებას. ამ რამდენიმე წლის წინათ (1890 წ.) სოციალდემოკრატების სამეცნიერო ორგანოში „ნოიე ცაიტში“ კომუნალურ შრომის ბირჟის საკითხი დაწვრილებით და მეცნიერულათ იყო დამტკიცებული, რომ ყველა პროფესიონალური კავშირები, საცა კი შემოღებულია უმუშევართა დარჩენილთა დახმარება, ყველანი იძულებული არიან თვით შრომის ბირჟის დაწესებულებაც თითონ ჩაიგდონ ხელში. უმუშავართა დარჩენილ მუშათა კლასისთვის დღეს არსებითი საკითხია, უმუშევართა დარჩენილი წევრები რაც შეიძლება მალე სამუშაოზე დააყენონ, ალაგი უშოვონ. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა შრომის ბირჟის დაწესება. თუ რომ ჩვენ შრომის პირობების დაცვა-გაუმჯობესებისათვის პირველ ყოვლისა სამუშაო ხელფასის აწევა და სამუშაო დროს შემცირებას პროფესიონალურ კავშირების მოქმედების მთავარ მიზნათ ვაღიარებთ, აქედან აუცილებლათ გამომდინარეობს ის შეხედულება, რომ უმუშევართა დარჩენილნი ნივთიერათ გაამაგროს, მისი მთავარი მიზანია შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვა არაფერი. დამხმარებელ დაწესებულებების საშუალებით პროფესიონალური კავშირები ცდილობენ, უმუშევრობის დროს, უმუშევართა დარჩენილთა მეტოქეობა თავიდან აიცილონ მათ, ვინც სამუშაოზეა და მით იხსნან შრომის პირობები საერთო დაქვეითებისაგან. ასევე ითქმის და ასეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის ბირჟასაც. ეს არ არის მიზანი თავის-თავათ მას მნიშვნელობა აქვს და აღწევს თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ, როცა ეს პროფესიონალურ კავშირების ბრძოლის საშუალებებთან არის შეკავშირებული და სხვა საშუალებებთან ერთათ ხმარებული. შრომის ბირჟა, რომ შრომის პროფესიონალურ კავშირებთან ერთათ მოპირდაპირე—მწარმოებელი და მუშა, პირველი, როგორც მყიდველი და მეორე, როგორც გამყიდველი თავის სამუშაო ძალის. თავიანთ ბრძოლის დროს თითოეული პარტიათაგანი ცდილობს შრომის ბირჟის ხელში ჩაგდებას თავიანთ კლასობრივ მიზნის დასაცველათ, ვინაიდან ამას უყურებენ როგორც ერთ მთავარ საღსარს, ანუ სწორეთ რომ ვთქვათ, მთავარ იარაღს, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი ბატონობა სამუშაო ძალაზე. ეი რას ამბობს ამ საკითხის მცოდნე ფლაშე: შრომის ბირჟის დაწესებულება მისვლა-მოსვლის საშუალებაა, რომელიც ასეთ საშუალებას ხელში ჩაიგდებს, მას დიდი უპირატესობა აქვს თავის საქონლის გაყიდვის დროს. მეორე ცნობილი ეკონომისტი, რ-ხარდ კალვერი თავის ნაწარმოებში „შრომის ბაზარი და შრომის ბირჟა“ ამბობს: „ეს აუცილებლათ ასეა: ვინც შრომის ბირჟის დაწესებულებას ხელში ჩაიგდებს, მას მუდამ საშუალება აქვს თავის მოპირდაპირეს გადაჭრით დაუკანონოს, თუ რა და რა პირობებში უნდა გაყიდოს მან თავის საქონელი. შრომის ბირჟის ხელში ჩაგდებას მუდამ უპირატესობა აქვს თავის მოწინააღმდეგეს წინაშე. ამისათვის შრომის ბირჟა დაჭირავებულ და დამჭირავებლისთვის შეადგენს სოციალურ ბრძოლის ობიექტს; როგორც ერთი, ისე მეორე ცდილობს მის დასაკუთრებას. საღი პოლიტიკური შეხედულება აუცილებლათ უკარნახებს მუშათა კლასს, რომ შრომის ბაზარზე დგანან ერთი მეორეს მოპირდაპირე—მწარმოებელი და მუშა, პირველი, როგორც მყიდველი და მეორე, როგორც გამყიდველი თავის სამუშაო ძალის. თავიანთ ბრძოლის დროს თითოეული პარტიათაგანი ცდილობს შრომის ბირჟის ხელში ჩაგდებას თავიანთ კლასობრივ მიზნის დასაცველათ, ვინაიდან ამას უყურებენ როგორც ერთ მთავარ საღსარს, ანუ სწორეთ რომ ვთქვათ, მთავარ იარაღს, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი ბატონობა სამუშაო ძალაზე. ეი რას ამბობს ამ საკითხის მცოდნე ფლაშე: შრომის ბირჟის დაწესებულება მისვლა-მოსვლის საშუალებაა, რომელიც ასეთ საშუალებას ხელში ჩაიგდებს, მას დიდი უპირატესობა აქვს თავის საქონლის გაყიდვის დროს. მეორე ცნობილი ეკონომისტი, რ-ხარდ კალვერი თავის ნაწარმოებში „შრომის ბაზარი და შრომის ბირჟა“ ამბობს: „ეს აუცილებლათ ასეა: ვინც შრომის ბირჟის დაწესებულებას ხელში ჩაიგდებს, მას მუდამ საშუალება აქვს თავის მოპირდაპირეს გადაჭრით დაუკანონოს, თუ რა და რა პირობებში უნდა გაყიდოს მან თავის საქონელი. შრომის ბირჟის ხელში ჩაგდებას მუდამ უპირატესობა აქვს თავის მოწინააღმდეგეს წინაშე. ამისათვის შრომის ბირჟა დაჭირავებულ და დამჭირავებლისთვის შეადგენს სოციალურ ბრძოლის ობიექტს; როგორც ერთი, ისე მეორე ცდილობს მის დასაკუთრებას. საღი პოლიტიკური შეხედულება აუცილებლათ უკარნახებს მუშათა კლასს, რომ

ლი სადგურის გამგეობა და გადაუყვანიათ ქალაქის ბაკში საქონლის ეჭიმათ.

✦ **თფილისის ხმოსნების კრება.** გუშინ 17 სექტემბერს დანიშნული ჩვეულებრივი სხდომა ხმოსნებისა არ შესდგა ხმოსანთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, რისთვისაც დამსწრეთ იქონიეს მხოლოდ კერძო თათბირი პურის გაძვირების მიზეზების გამოსაკვლევათ და იმ პრაქტიკული ზომების გამოსაძებნათ, რომელთა საშუალებით ქალაქის თვითმართველობას შეეძლება თფილისის მცხოვრებთ თავიდან ააცილოს პურის გაძვირება. გამოსთქვეს კერძო შეხედულებანი, როგორც პირველის ისე მეორე კითხვის შესახებ. დასკვნას მაინც ვერაფერს დაადგენ და კრება დაიხურა.

✦ **სასამართლოს ამბები.** პოლიტიკური საქმე გორის მაზრის მცხოვრებლების გლეხების პროფესიით მუშებისა მიხეილ ტეტიაშვილისა და გიორგი გომართელისა, რომელთაც ბრალდებათ სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრობა და პარტიის სახელით ფულის მოგროვება უნდა გარჩეულიყო 17 სექტემბერს თფილისის სასამართლო პალატაში. რადგანაც ამ საქმის გამო არგამოცხადდენ მაზრის უფროსი კარალოვი და მოწმეები კოზლოვი, ფალავანდოვი და კორხმატოვი, საქმე შემდეგისათვის გადაიდო. პალატამ უმიზეზოთ გამოუცხადებლობისათვის დააჯარიმა კარალოვი 25 მან. და კოზლოვი 5 მანეთით.

✦ **დაბა სამტრედია.** სამტრედიიდან გვატყობინებენ 15 სექტემბერს ღამის 11 ს. კინაღამ ერთი უბედურება არ დატრიალებულა. როდესაც ადგილობრივ სტრაჟნიკებს ერთ შეზარხოშებულ ჯარის-კაცისათვის წინადადება მიუციათ თავის ბინაზე წასულიყო ჯარის-კაცს ეს სწყენია და „სტრაჟებს“ შეკამათებია. ბოლოს საქმე გამწვავებულა და ერთმანეთისათვის სროლა აუტეხიათ. მოცვივნულან ადგილობრივი ყარაულები და მოუხერხებიათ მათი დაშოშმინება. დაჭრილი არავინაა.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრის** განკარგულებით, ის დაჯარიმებული გაზეთები, რომლებიც ჯარიმას არ გადიხდიან, დაიკეტებიან და უფლება არ ექნებათ განაახლონ გამოცემა სხვა სახითაც კი, სანამ საგანგებო წესები მოქმედებენ.

✦ **ბრძანება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა, ვისაც ჯერ არს, რომლითაც უბრძანებს, ბეჭითათ და შეუდრეკელათ შეუდგენ ყველა იმ ნედოიმკების აკრეფას, რომლებიც დარჩენილია საეროზო გადასახადიდან კერძო მესაკუთრეთა ქონებაზე და გლეხთა სანადელო მიწებზე.

✦ **თფილ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი.** წიგნის მაღაზიის „ობრაზოვანიე“-ს პატრონი ტატიანა პავლოვნა ბეჭვდითი საქმის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა 100 მან. გორის მოვაჭრეები: გიორგი კარჩაძე, ვასილი და ნიკოლოზ და ანდრია კაიშაური, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირნი, გადასახლებულ იქნენ პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. თფილისის მცხოვრებ ქ. ანნა თეიმურაზოვს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირს, აეკრძალა თფილისში და მის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდის. ამას წინეთ დუშეთის ციხეში დაპატიმრებული თედო ბერბერაშვილი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი გადასახლებულ იქნა ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. ახალციხის მცხოვრები გიორგი კოშიანცი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი, გადასახლებულ იქნა პერმის გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდის. თფილისის მცხოვრები გაერეგინ თარხანოვი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი, გადასახლებულ იქნა ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. არხანგელის გუბერნიაში გადასახლებულთაგან თავისი ნებით დაბრუნებულნი გორის მაზრის ს. ბრეთის მცხოვრებნი: სანდრო შარიბეგაშვილი, ვანო ზეკალაშვილი და იასონ გოგაძე იგზავნებიან უკანვე არხანგელის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ. ბორჩალოს მაზრის სოფ. შინდილიარ-კაბანაჩკის მცხოვრები ისკანდერ მუსტალგა-ოღლი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი, იგზავნება ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. პესკის ქუჩაზე მცხოვრები ნიკოლოზ სულავა სანიტარული დადგენილების შეუსრულებლობისათვის დაჯარიმებულ იქნა ორმოცდაათ მანეთით. თუთუნის ქარხნის „მირის“ დირექტორი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 100 მანეთით.—მეეზოვე ავეტიქ სარქისოვს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის აეკრძალა ცხოვრება თფილისში და მის გუბერნიაში.—სახლის პატრონები პეტრეპავლოვის ქუჩაზე სერგო აკოფოვი, იაკოფ თულეიმანოვი, ასლამანოვი და თადეოზ კირვალიძე დაჯარიმებულ იქნენ 300 მან. რათა ამ ფულით დაქირავებულ იქნეს ორი მეეზოვე.—თფილისის ციხეში დაპატიმრებული სიღნაღის მცხოვრები კაპლო სეირანოვი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, იგზავნება ვიატკის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ, სამხედრო წესების მოხსნამდის. თფილისის მოქალაქეს ნიკოლოზ ბელგაშვილს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისას, აეკრძალა ცხოვრება თფილისში და მის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. ანდრეევის და ვოგზლის ქუჩების კუთხეში არსებული რესტორანი დახურულ იქნა სამხედრო წესების მოხსნამდის.

პარტიების ცხოვრებიდან

კადეტთა პარტიის პეტერბურგის კომიტეტს საჭიროთ დაუნახავს, რომ ქალაქის პირველ კურიაში წამოაყენოს უპარტიო კანდიდატების სია, ისეთი კანდიდატების, რომელთა კონსტიტუციონალისტობა ყველასათვის ეჭვს გარეშეა და პარტიისაგან მხარის დაჭერასაც ადვილათ მოიპოვებს. ასეთ სიას პარტია წამოაყენებს, არა როგორც კადეტთა პირტიის კანდიდატების სიას, არამედ როგორც სრულიად უპარტიოს, რომ მას მხარი დაუჭირონ პარტიის წევრებთან ერთათ სხვა ამომრჩევლებმაც. ამ უპარტიო სიაში მოთავსებულია სტასიულევიჩი, გენერალი სუბოტიჩი და გრაფი ა. ა. ორლოვ-დავიდოვი, რომელიც იმპერატორის კარის ცერემონიმეისტერათ ირიცხება.

სახალხო-სოციალისტთა პარტია პეტერბურგში თავის კანდიდატებს შორის ასახელებს: ანენსკის, მაკოტინს, პეშეხონოვს და სხ. სახ. სოც-თა კრებაზე გამოირკვა, რომ მემარცხენეთა ბლოკი პეტერბურგში არ მოხერხდება, რადგან ს.-დ.-ბი ბლოკში მონაწილეობაზე უარს ამბობენ.

„რუსეთის სახალხო კავშირის“ მთავარმა საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს მესამე დუმის ყველა მოსალოდნელი წევრები, რომლებიც „კავშირს ან“ სხვა მონარქიულ პარტიებს ეკუთვნიან.

რუსის სახალხო კავშირის მთავარ საბჭოს, პეტერბურგის გუბერნიის წვრილ მემამულეთა არჩევნებზე სრული დამარცხების შემდეგ, გაუმართავს თათბირი იმის გამოსარკვევათ, თუ როგორია კავშირის შანსები მსხვილ მემამულეთა კურიაში. ადგილებიდან ძალიან უნუგეშო ამბები მოსვლიათ. მსხვილი მემამულენი სრულ გულგრილობას იჩენენ თურმე „კავშირის“ პროგრამისადმი. მცირეოდენი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: გამარჯვების იმედის უქონლობის გამო, შეწყვეტილ იქნას აგიტაცია სხვილ მემამულეთა შორის.

მოსკოვის ოქტომბრისტთა კომიტეტს კანდიდატებათ წამოუყენებია ქალაქის პირველ კურიაში—გუჩკოვი და პლევაკო.

მუშათა შორის

დურგალთა შორის. თითქმის ერთი წელიწადი შესრულდა, რაც თფილისში დურგლთა პროფესიონალური კავშირი შესდგა. კავშირში შესვლის ნებას ბევრი ყოფილ დეპუტატებს პირველ და მეორე დუმისას,—უმეტეს ნაწილათ მემარცხენეებს.

— გაზეთებს გაუგიათ, თითქო სამინისტრო მთავრობის განკარგულებით „მემარცხენეობა ბლოკს“ საარჩევნო მოქმედებაში დაბრკოლება არ შეხვდება ადმინისტრაციის მხრივ, თუ ეს მოქმედება იწარმოებს სრულიად თანახმათ კანონისა არჩევნებისა და საარჩევნო კრებების შესახებ.

— ბენდერის და ორგეევის მაზრებში წვრილ მემამულეთა კურიაში წამოყენებული ქონია თავისი კანდიდატურა პურიშკევიჩს. მაგრამ მას გაუგია, თუ არა წვრილი მემამულენი პროგრესისტების არჩევას აპირებენო, ფიცხლავ მოუხსნია თავისი კანდიდატურა და გადაუწყვეტია მისი წამოყენება სხვილ მემამულეთა კურიაში.

— სარატოვში საარჩევნო კრებაზე, რომელზედაც სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებს ულაპარაკნიათ, „რუსის ხალხის კავშირის“ წარმომადგენელს, არჩევნებზე შთაბეჭდილების მოსახდენათ უთქვამს: „როგორ შეიძლება მხარი დავუჭიროთ ჩვენ კადეტების პარტიას, როცა მათ შორის აღმოჩნდა შეთქმულები ხელმწიფის წინააღმდეგ (ორატორს ერთმანეთში აურევია კადეტები და ს.-დ.-ები) ორატორს თავისი რეჩით მართლა მოუხდენია შთაბეჭდილება და თავის წინააღმდეგ საშინელი ხმაურობა და პროტესტი გამოუწვევია ამომრჩეველთა მხრივ.

— მელიტოპოლის მაზრაში დაიჭირეს რამდენიმე მასწავლებელი, როგორც ისმის, საარჩევნო კამპანიის დაწყების გამო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკისრა ბეჭდვითი საქმის ადგილობრივ კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ „რუს. ხალხის კავშირის“ საარჩევნო სააგიტაციო ლიტერატურას, და, თუ აღმოაჩინონ მასში მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორეზე მისევა, იმ შემთხვევაში აღძრან საქმე საზოგადო სასამართლოს წესით. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს!

— მოსკოვში დანიშნული იყო ორი საარჩევნო კრება, ერთი სულ არ შესდგა, მეორეზე კი მოვიდა სულ 25 კაცი. ადგილობრივი გაზეთები ამ ამბავს იმით ხსნიან, რომ ამომრჩევლები არ ეტანებიან ისეთ კრებებს, რომლებიც პარტიების სახელით არ იმართება; პარტიები კი ოფიციალურათ კრებების გამართვას ვერ ახერხებენ რეპრესიების შიშით.

— ნევისა და ნარვის რაიონების მუშათა არჩევნების დროს ს. დ. ამომრჩეველთა შორის მოხდა რასკოლი. თუმცა პეტერბურგის კომიტეტის დადგენილებით კენჭი უნდა ეყაროთ საერთო სიისათვის, მაგრამ მუშებმა ორ სიას უყარეს კენჭი—ბოლშევიკებისას და მენშევიკებისას. ორივე რაიონში გაიმარჯვეს მენშევიკებმა.

— ცარიცინის მაზრაში კაზაკებს ორი რწმუნებული აურჩევიათ, ორივე პროგრესისტები.

— ეკატერინოსლავში მუშათა შორის გამეფებული ყოფილა ბოიკოტისტური განწყობილება. რწმუნებულთა არჩევნებზე გასულა სულ მათი მეათედი ნაწილი. არჩეულ იქნა: რვა სოც.-დემ. (7 მენშევიკი და 1 ბალშევიკი), 3 ს. რ., 1 ს.-რ—ბის მომხრე, 2 ზომიერი და 2 უპარტიო პროგრესისტი. ს.-დ—ებმა გამოუშვეს ფურცელი, რომლითაც მოუწოდებენ არჩევნებში ენერგიული მონაწილეობის მისაღებათ. ს.-რები აგიტაციას ეწევიან ბოიკოტის სასარგებლოთ. წვრილ მემამულეთა შორის გამეფებულია სრული გულგრილობა არჩევნებისადმი.

— ელისავეტგრადის მაზრაში წვრილ მემამულეთა რწმუნებულების არჩევნებზე 1400 ამომრჩეველთაგან სულ 15 კაცი მისულა. ამათ შეეძლოთ აერჩიათ მხოლოდ ერთი რწმუნებული, მაგრამ ეს არჩევნებიც არ შედგა, რადგან ზოგიერთმა ამომრჩევლებმა უარი თქვეს კენჭი ეყარათ წამოყენებულ კანდიდატებზე, რომლებიც „რუსის ხალხის კავშირს“ ეკუთვნოდენ.

— ვილნოში რუსთა კურიის ამომრჩეველთა კრებაზე ალიაქოთი მოხდა. „მოკავშირენი“ თავიანთი ცხარე რეჩებით სულ ბოლს ადენდენ ურიებს. პროგრესისტ ამომრჩევლების მიერ ურიებისადმი გამოსარჩლება მთლათ აცოფებდა შავრაზმელებს და ეს უკანასკნელნი საშინელ წივილ-კივილ სტეხდენ, და პროგრესისტებს გარეთ ერეკებოდენ; გულის სიღრმემდე

მათ უარყონ ნეიტრალობა შრომის ბირჟისადმი და ერთგულათ მოეკიდონ მის მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას; იგი მუდამ უნდა ცდილობდეს შრომის ბირჟის კომისიაში თავის კაცების გაყვანას, რომლებიც დაიცავენ მის კლასობრივ ინტერესებს.

შრომის ბირჟის ხელში ჩაგდებას მუშათა კლასისთვის კიდევ დიდი მნიშვნელობა იმით აქვს, რომ პროლეტარიატი თანამედროვე წარმოების ასპარეზზე გამოდის განსაკუთრებით როგორც გამყიდველი, ამასთან გამყიდველი ერთათ-ერთ საქონლის—თავის სამუშაო ძალისა, დანარჩენნი კი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საერთო წარმოებაში, გამოდიან როგორც მყიდველნი, ანდა გამყიდველნი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ესენი არ არიან გამყიდველნი ერთათ-ერთ საქონლის, რომელთანაც შეკავშირებული იყოს მათი ცხოვრების ბედ-იღბალი; ესენი ყიდიან მრავალ გვარ საქონელს, სხვა და სხვა დარგის ნაწარმოებს, რომლის ფასების განსხვავებაზეა დამოკიდებული მათი მდგომარეობის ავ-კარგიანობა. მუშა კი, როგორც ვთქვით გამყიდველია ერთათ-ერთ საქონლის, რომლის ფასზეა დამოკიდებული მთელი მისი ცხოვრების მდგომარეობა. აქედან ის აუცილებელი დასკვნა გამოდის, რომ მუშათა კლასის მიზანია ჩაიგდოს შრომის ბირჟის დაწესებულება მხოლოდ იმისათვის კი არა, რომ ამის საშუალებით უმუშევრათ დარჩენილ ამხანაგებს, რაც შეიძლება, ჩქარა სამუშაო უშოვოს—ალაგზე დააყენოს, არამედ, მუშათა კლასის მთავარი მიზანია იმ წარმოების დარგებში, საცა სამუშაო ხელფასი მცირეა, ხელოვნურათ დიდ ხნობამდის უმუშებოთ დასტოვონ, საჭირო მუშა ხელი არ მიაწოდონ და ამ გზით და ამ საშუალებით აიძულონ კაპიტალისტები მცირე ხელფასიან მუშებისთვის სამუშაო ქირა მოამატებიონ. მაშასადამე, შრომის ბირჟის მთავარი დანიშნულება ყოფილა საერთო შრომის პირობების გაუმჯობესება, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუკეთესება.

აშკარაა, რომ შრომის ბირჟის მოწყობას ორგანიზაციულათ მოწყობილი მუშათა კლასი გულ-გრილათ ვერ შეხედავს, იგი მუდამ ცდილობს ეს, საუცხოვო იარაღი პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებისა,—ხელში ჩაიგდოს, სულ ერთია ეს დაწესებულება პროფესიონალურ კავშირების ხელშია თუ კომუნალურ თვითმართველობის ხელშია. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მეტათ ცდილობს მუშათა პარტია, რომ კომუნალური თვითმართველობები, რომლებიც არსებობენ კომუნალურ შრომბირჟებთან ერთათ აიძულოს წესდების საშუალებით, შრომის ბირჟის დაწესებულება ისე მოეწყოს, როგორც ამას მოითხოვს მუშათა ინტერესი, რომ იგი იარაღი იყოს პროფესიონალურ და საერთო მუშათა მოძრაობისათვის, ჯეროვან დახმარებას უწევდეს მას საერთო ეკონომიურ-პოლიტიკურ ბრძოლის დროს. ამისთვის კი აუცილებლათ საჭიროა, რომ პროლეტარიატი აღჭურვილი იყოს კომუნალურ საყოველთაო საარჩევნო უფლებით და დემოკრატიულ თვითმართველობის უფლებებით. ისეთი შრომის ბირჟებს, რომლებიც ბურჟუაზიულ კომუნალურ მართვა-გამგეობის ხელშია, ბევრი სარგებლობა არ მოაქვთ მუშათა კლასისათვის.

ჩვენ გვინდა ახლა, რაც რამ კომუნალურათ მოწყობილ შრომის ბირჟაზე გვითქვამს, მოკლეთ გამოვთქვათ. მუშათა კომუნალურ პოლიტიკის მიზანია კომუნალურ შრომის ბირჟის მართვა-გ-ა მგეობა ხელში ჩაიგდოს, იგი იყოს მისი ფაქტიური გამგე მმართველი. მაგრამ საცა ეს მოუხერხებელია, საცა ამას ხელს არ უწყობს კომუნალურ მართვა-გამგეობის დემოკრატიული წყობილება, იგი ცდილობს კომუნალურ მართვა-გამგეობის საშუალებით შრომის ბირჟის დაწესებულებიდან შორს დააყენოს კაპიტალისტთა კლასი, რომ უკანასკნელნი არ შედიოდენ შრომის ბირჟის კომისიაში. რაც შეეხება, იმ აზრს, ვითომ კომუნალური შრომის ბირჟა, ერთათ ერთი საზრუნველი საგანი იყოს პროლეტარიატისათვის, ასეთი აზრი შემცდარია კომუნალურ შრომის ბირჟის განხილვამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ პროლეტარიატის ერთ მხრივი აგიტაცია კომუნალურ შრომის ბირჟის დაწესებულების სასარგებლოთ და ხელი არ გაუშვას პროფესიონალურ კავშირების შრომის ბირჟის დაწესებულებას.

პეტერბურგის დიდ ქარხანაში მუშათა რწმუნებულების არჩევნების წინ არ მომხდარა არც ერთი საარჩევნო კრება. მემარცხენეთა აგიტაცია, თუ სახეში არ მივიღებთ სოც.-დ. პარტიის საარჩევნო ფურცელს, სრულიად არ წარმოებდა. ფართო და თავისუფალ აგიტაციას ეწეოდა აქ მხოლოდ „რუსის ხალხის კავშირის“ განყოფილება, რომელსაც მეთაურობდა მისი თავმჯდომარე, იგივე უფროსი პუტილოვის ქარხნის რამდენიმე საბელოსნოსი. მიუხედავათ ყოველგვარ მეცადინეობისა, კავშირმა სრული დამარცხება განიცადა. არ გავიდა არც ერთი „მოკავშირე“, არც მემარჯვენენი, არც ზომიერები, არჩეულ იქნენ სულ სოც.-დემოკრატები.

— პოლტავის გუბერნიის მაზრებში გლეხები შესამჩნევი გულგრილობით ეკიდებიან არჩევნებს. პოლტავის მაზრის 10 ვოლოსტში ამომრჩევლები სულ არ მისულან არჩევნებზე. დანარჩენ 10 ვოლოსტში აურჩევიათ 18 რწმუნებული: 1 სოც.-დემ., 2 ოქტომბ., 2 უფლ. წესწყ. პარტ. წევრი, 3 უპარტიო, დანარჩენები მემარცხენენი არიან.

— გამოირკვა, რომ რუსეთის გუბერნიებში გლეხები თავის რწმუნებულებათ

აღშფოთებულმა პროგრესისტებმა მიატოვეს კრება.

რუსეთის ამბები

მუშების დახვრეტა მექარხნის მოკვლის გამო. დონში ამ დღეებში დაუხვრეტიათ შვიდი მუშა და ერთი მუშა ქალი, რომლებიც მოკლულ მექარხნე ხილბერშტეინთან მუშაობდენ. სამ დახვრეტილთაგანს აბრალებდენ მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას, სამსკი მხოლოდ ის ბრალდებოდა, რომ მათ მკვლელობისადმი თანაგრძნობა უმჩნეოდათ. დაუტუსდებიათ ქარხნის თანამეპატრონე დიხტენ თვლდა. ქალაქი აღშფოთებულია. გაძლიერებულია ჩხრეკა და დატუსდება. დაუჭერიათ 222 კაცი. დაუგმეთათ გაზეთი „სტრან თელოდსკი“ და სტამბა.

ხარჯები გენერალ-გუბერნატორებზე. გაზეთების გამოანგარიშებით, წელს გენერალ-გუბერნატორების და მათი კანცელარიების შესანახი ხარჯები უდრის მილიონზე ტოტა ნაკლებს. აქედან უველაზე მეტი ხარჯი **უწევს** კავკასიის ნამესტნიკს და მის კანცელარიას, სახელდობრ—163,342 მან., შემდეგ მოუვება ვარშავის გენერალ-გუბერნატორი—126,233 მან... უველაზე მცირე ხარჯი მოუწევს სტეპნოი გენერალ-გუბერნატორს—42,500 მან. ამ ჩვეულებრივ ხარჯებს გარდა, წელსვანდელისათვის დამატებითი თელია გადადებული: კავკასიის ნამესტნიკისათვის 60 ათასი მან., ვარშავის გენ.-გუბ.-სათვის 38 ათასი, და სხ...

განკარგულება სტუდენტთა კრებების შესახებ. პეტერბურგის სტამბების მოვარაინსპექტორმა განკარგულება მოახდინა, რომ აკრძალულ იქნას რაიმე ცნობების და წერილების ბეჭდვა სტუდენტთა კრებების შესახებ, წინადმდეგ შემთხვევაში ინსპექტორი სტამბების დაკეტვით იმუქრება.

გუბერნატორის განკარგულება და „მოკავშირეთა“ მუქარა. ქ. გომელში ებრალების შუამდგომლობით გუბერნატორმა ნება დართო გადდგან ხიდმე კვირაობით დუქნები, ებრაელთა დღესასწაულების გახშირების გამო. მაგრამ „მოკავშირეთა“ აშკარა მუქარის მეოხებით ებრაელები გვერ ბედავენ გადდგან დუქნები.

მიტინგი. „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, პეტერბურგის მიდამოებში ამ დღეებში გაიმართა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ მონწყვდე ახალგაზდობა, ფლოტის დაბალი მოხელენი და მუშები. მიტინგის ამბავი დაუუონებლივ ეუწყა პოლიციას, რომელსაც მოაშველებს დრაგუნთა პოლკის დება-გვარდიის ესკადრონი და კუბანცების ასეული. პოლიციამ დაიჭირა 25 კაცი მიტინგის მონაწილე, მაგრამ მათი გვარების ჩაწერის შემდეგ ისევ გაანთავისუფლა.

ადესის გრადონაჩალნიკი რევოლიუციის და ებრაელების შესახებ. ადესის გრადონაჩალნიკი დასწრებია ქალაქის საბჭოში ხმოსანთა კრებას და უთქვამს: „განმათავისუფლებელი მოძრაობა და ჩვენი რევოლიუცია 85 პროცენტით მაინც შექმნილია ებრაელთა მონწყვდა ახალგაზდობის-მიერ; მაგრამ მაინც ჩემთვის უველა მოქალაქენი თანასწორნი არიანო.

4 მარტის კანონის გადასინჯვა. შეისკან სქემეთა სამინისტრომ, რომელსაც განზრახვა აქვს გადასინჯოს და შესცვალოს 4 მარტის კანონი პროფ. კავშირების და საზოგადოებათა შესახებ, წინადდება მისცა გუბერნიების უფროსებს განიხილონ ეს კითხვა და შეატყობინონ მთავრობას თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რა ნაკლულევანება აქვს 4 მარტის კანონს და რა ხიერათ უნდა იქნეს შესწორებული ეს ნაკლულევანება.

რეპრესიები. კიევის ადმინისტრაციას შეისკ. სქ. სამინისტროსგან ცირკულარი მიუღია, რომელიც ავალებს მას სასტიკათ მოექცეს ბეჭდვითი სიტყვას. ამ ცირკულარს მოყვა ჯარიმები. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის შესახებ ადმინისტრაციამ გამოაცხადა: უმაღლეს ადმინისტრაციის კანკარგულების თანახმათ, სტუდენტების კრებებს უეჭველათ დევნას დაუწყებს პოლიცია.

უმაღლეს სასწავლებლებში. 9 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში დანიშნული იყო „საკოსტიტუციო უფლების მოსწავლე სტუდენტთა ჯგუფის“ კრება. უნივერსიტეტის რექტორთან მივიდა ადგილობრივი პრისტავი და შეეკითხა: თქვენ ნება დართეთ თუ არა კრებისაო? ჰოო, უპასუხა რექტორმა. „პოლიციის ცნობები მოუვიდა, რომ ამ კრებაზე გარეშე პირნიც დასწრებიან, მაიდეთ თუ არა ზომები მათი შემოშვების წინააღმდეგ?“—კვლავ შეეკითხა ბოქაული—„მივიდეთ“-ო მოკრძით უპასუხა რექტორმა და ბოქაულიც მოშორდა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

პოლიციელების სურათები. პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა მოითხოვა ფოტოგრაფიული სურათები უველა იმ პოლიციელ მოხელეების, რომლებმაც თავი ისახელეს ბორტოტ-გამზრახველებთან შეპირადებულ შეტაკების დროს, და აგრეთვე იმათი, რომლებმაც სამსახური თავი შესწირეს.

„მოკავშირეთა“ მებრძოლ დრუჟინების საქმე. ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა „რუს. ხალხის კავშირის“ მთავარ საბჭოს—რა მიზნით და რა საფუძველზე არსებობენ თქვენი დრუჟინებიო. საბჭომ გადაწყვიტა უური არ ეთხოვებინა შეკითხვისათვის, მაგრამ მალე პეტროგრადიდან განკარგულებათაგან ცნობები მოუვიდა, რომ ადმინისტრაცია დევნას უწეებს „კავშირის“ დრუჟინებსო. მაშინ საბჭომ გადაწყვიტა მიეგზავნა მინისტრ-პრეზიდიუმისათვის ტელეგრამა დუბროვინის მოთხოვნით ამ საკითხზე მოსალაპარაკებლათ. ამბობენ, ოფიციალურმა სფერებმა კატეგორიულად „მოკავშირეები“, რომ დევნა არ იქნება მიდებული.

მუშათა შორის.

პროფ. კავშირ. ცენტრ. ბიუროს მოქმედება ამ ბოლო დროს სრულიად მოშვებულია. მთელი ორი თვის განმავლობაში ვერ მოიწვიეს ვერც ერთი სხდომა კრება წარმომადგენელთა საკმარისი რიცხვის მოუსვლელობის გამო. ბიუროს კასაში კავშირებისგან თელი თითქმის სულ არაფერ შედის. განსაკუთრებულია, რომ განსაკუთრებულ გულგრილობას ცხადრ. ბიუროს მიმართ იჩენენ ისეთი დიდი და მომქმედი კავშირები, როგორიცაა დათხზე მომუშავეთა და მებაღეთა კავშირები.

— ამ 25 ბრილ. კავშირებიდან, რომლებიც მოსკოვში არსებობდენ, დაკეტილ იქნა 21, დანარჩენები-კი გადაქცეულან უბრალო სურთიერთო დამხმარებელ სხოგადოებებათ. უზომო რეპრესიებმა.

უმუშევართა რიცხვი. ბეჭდვითი სქემის მუშათა შორის მთელ რუსეთში უდრის 900 კაცს. ბეჭდვითი სქემის სხოგადოების გამგეობამ ამ ჟამად შესწევეტა უმუშევრებზე შეწევობის გაცემა, რადგან კავშირის არაველევრული არსებობის გამო თვალსაჩინოთ შემცირდა საწევრო თელის შეტანა, შემცირდა საწევრო თელის შეტანა.

სავაჭრო მოსამსახურეების პროფ. და დამხმარებელ საზოგადოებათა სრულიად რუსეთის სიეზდის მომწვევი კომისია, რუსეთში არსებულ სავაჭრო მოსამსახურეთა ორგანიზაციების რაოდენობის და მათი მოქმედების ხასიათის გაშოსარკვევათ, ამ ჟამად უველა საზოგადოებებს და კავშირებს გზავნის თელიერ შემდეგი კითხვებით: 1) ნებადართულია თუ არა სხოგადოება; თუ არა, რა მიზეზით. 2) მოსწევობას იღებდა თუ არა სხოგადოება 1906 წ. 15 ნოემბრის კანონის გატარებაში—შერეულ კომისიების მოქმედებაში; როგორია ამ მოქმედების შედეგი; გატარებულ იქნა თუ არა ცხოვრებაში სავალდებულო დადგენილებანი სავაჭრო მოსამსახურეთა ნორმალურ შრომის და დასვენების შესახებ; 3) მიუმართნია თუ არა სხოგადოებას შუამდგომლობით ადგილობრივი ადმინისტრაციის ან ქალაქის მმართველობისათვის და რაოდენი იყო მათი შუამდგომლობის შედეგი. 4) რაოდენი გავლენა იქონია სხოგადოებაზე საგანგებო დეტვამ, სამხედრო წესებმა და სხვა განსაკუთრებულმა კანონებმა; გამოიწვია თუ არა ამ წესებმა სხოგადოების ოფიციალური დაკეტვა ან შეწერება მისი მოქმედებისა; იყო თუ არა „არტელი“ სხოგადოების ბასუხ-მგებელ პირთა შორის; 5) შეიქნა თუ არა სასარგებლო კამპანია ახალ რეპრესიების საბაბით სხოგადოების შესახებ და რა შემთხვევებში. შემდეგ ფურცელი შეიცავს მთელ რიგ კითხვებს, რომელიც შეეხება სხოგადოების წევრთა რიცხვს, უმუშევართა რაოდენობას, სხოგადოების განმანათლებელ მოქმედებას, საქმეთა და ეკონომიურ დახმარების მოწოდებას და სხ.

— მექარხნეთა კავშირმა ქ. ტომსკშიც გამოაცხადა გაფიცულ მუშებს, რომ თუ ისინი 15 სექტემბრისათვის მუშაობას არ გაუხახლებენ, უველა ქარხნები დაიკეტებიო.

სოფლათ.

გლეხთა ორგანიზაციული მოძრაობა. შრომის ჯგუფს მისი წევრები ადგილებიდან ატყობინებენ, რომ ამ ჟამად სოფლად დიდი მოძრაობაა გეგმებში. ეს მოძრაობა გამოწვეულია გლეხების მიწაზე. ეს მოძრაობა ორგანიზაციების მოწოდების ნიადაგზე. ეს მოძრაობა გამოხატულია თვით ხალხის სიდრმიდან და მიზნათ აქვს ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. პოლიტიკურ და ადგილობრივ კითხვების გარდა, უყენებენ ეკონომიურ კითხვებს. ითხოვენ სახელმწიფო კომისიის სასწრაფოთ დანიშვნას ადგილობრივ ადგილებში, რომ ამ ჟამად სოფლად დიდი მოძრაობაა გეგმებში. ეს მოძრაობა გამოხატულია თვით ხალხის სიდრმიდან და მიზნათ აქვს ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. პოლიტიკურ და ადგილობრივ კითხვების გარდა, უყენებენ ეკონომიურ კითხვებს. ითხოვენ სახელმწიფო კომისიის სასწრაფოთ დანიშვნას ადგილობრივ ადგილებში, რომ

დასტურათ კავშირი ეძლევა მოიხოვოს 1. რვა საათის სამუშაო დღე *); 2. ხელფასის მომატება პროცენტებით; 3. სრული გაუქმება აკორდის და ნაწრობითი მუშაობისა; 4. ხელფასის მინიმუმის განსაზღვრა; 5. „ოტხუსვების“ მოხსნა დამსახურების დაკვალვით ჯამაგირის შენახვით; 6) პოლიციის მოსპობა და მის ადგას ნოქრების (პრიკაზჩიკების) მოწევა. 7) ოთხების სამართლიანი განაწილება ტოლშვილიან და უტოლშვილოთა შორის, მათი რემონტი, განათება-კათბობა ხაზეინის ხარჯზე, 8. წელის და ფეხსაცმელების სანიტარულათ მოწყობა. 9) საავადმოფო (დეჩებინიცა), ექიმი და ფელდშერი (ფერმებინიცა), 10) ავათმეფობის დროს ჯამაგირის სრული შენახვა. 11) თვიური მუშების დღიურში გადაწერა აკრძალვა. 12) მუშის დათხოვა და მადება კავშირის სქემე უნდა იყოს. 13) უწლოვან ბავშვების მიღების აკრძალვა. 14) ორსულ ქალების მშობიარობის წინ და მშობიარობის შემდეგ თავისუფლების მინიჭება ექიმის შემოწმების დაკვალვით. 15) არსებული სოფებრივ ინსპექციის მაგიერათ ადგილობრივი მეთვალყურის არჩევა მუშების და ხაზეინების მხრიდან. 16) სახელმწიფო დაზღვევა (სტრახი) მუშებისა ხაზეინების ხარჯზე უეცარ სიკვდილის, დასახიჩრების, სიბერის და უძლურების დროს. 17) კავშირის წევრების და მის ხელმძღვანელთა სრული ხელუხლებლობა და ზრდილობიანი მოპყრობა. 18) ხაზეინების ბასუხის გებაში მიცემა, თუ ისინი შრომის დამცველ კანონებს დაარღვევენ.

19) პირველ-მასპობის უქმობის უფლება.

ხაზეინ-მესაკუთრეთა წინააღმდეგ გასამკლავებლათ და ბრძოლის გასანაყოფიერებლათ კავშირი იბრძოლებს მოიპოვოს სრული თავისუფლება: გაფიცვისა, კავშირისა, კრებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, სინდისისა, პირადების ხელუხლებლობა, ბინის ხელუხლებლობა და სხვა.

(დასასრული იქნება).

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

17 სექტემბერი

არჩევნები

პეტერბურგი. სააგენტოს ცნობებით 17 სექტემბრამდე რწმუნებულთა რიცხვს გლეხთა კურიიდან მიემატა 19. ამათში 1 კადეტია; 4 კადეტთა თანამოაზრე; 6 თავის თავს მემარჯვენეს უწოდებს; 4 მემარცხენე და ერთი მათი თანამოაზრე; 2 უპარტიო და 1 გამოურკვეველი.

სოფლის საზოგადოებათაგან მიემატა 1513; ამათგან 3—რუსთა კავშირის წევრი; 7—უფლებ. წეობიდების პარტ. 3—გლეხთა კავშირის წევრი; 3 ოქტომბრისტი; 11 კადეტი; 27 ს. დემოკრატი; 16 დატ. ნაციონალისტი, 15 დატ. რეფორმის პარტიისა; 88 თავის თავს მონარქისტებს უწოდებენ, 661 მემარჯვენე; 151 ზომიერი; 213 მემარცხენე; 106 ბროგრესისტი; 4 უკიდურესი მემარცხენე; 58 უპარტიო; 139 გამოურკვეველნი.

წვრილ მემამულეთა რწმუნებულებს მიემატა 312. ამათგან ოქტომბრისტი 2; 3 კადეტი; 1 სოც. დემოკრატი; 223 ნარდობაგეც; 2 მონარქისტი; 60 მემარჯვენე; 3 ზომიერი, 18 უპარტიო.

ვარშავა. მოსტოვოი ქუჩაზე მოკლეს უბნის ზედამხედველი.

მინსკი. 15 სექტ. სტოლიპინი დაიწვა 100 სახლი.

კუსტანაი. მეორე დღეა თოვდი მოდის და ქარბუქია.

მარიუპოლი. დაითხოვეს ტრეგუბოვისა და გოფის წისქვილის მუშები, რომელნიც გაფიცულნი იყვნენ და 20 ბრილ. ჯამაგირის მომატებას მოითხოვდენ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სტრაჟნიკთა სადგომში უმუშარა შეკედეს, მაგრამ არავინ დაშვებულა.

მოსკოვი. დაიწვარეს ინუენერი გინოგრადოვი, რომელსაც მოსკოვის აჯანუებაში მონაწილეობას აბრალებენ.

ასხაბადი. კაზილ არვატის სახელმწიფო საკრებულო ბუფეტში მოკლეს ოტსტავნოი

*) რაჟან რვა საათის სამუშაო დღე უკვე მოპოვებულია შუშის ზავოდში, ამისთვის კავშირი ეცდება მტკიცეთ დაიცვას ის ხაზეინის თავდასხმისაგან.

ურიადნიკი ავხშნანსკი. დამსწრეებმა უარი თქვეს მკვლელის დასახელებაზე და უველანი დატუსდებულ იქნენ.

სტამბოლი. ოსმალოეთში დაწერილ სულთის ბრძანებაში მოველა ბორტის შიგნით გამოგზავნილი დელეგატები: ინგლისის კონსტანტინოპოლის-კონსული და რუსეთის ელჩი კონსული. თეორანის მთავრობამ მიანდო თავისს სტამბოლელ ელჩს გამოუცხადოს დელეგატებს, რომ გამოძიება გვერ იქნება საბოლოო და რომ სპარსეთი შიშობს დაჭერილი ბრალეულება სადაო ადგილებში არ ჩაიჩიბნას. სპარსეთის მთავრობა უარს ამბობს ასეთ გამოძიებაზე და საჭიროთ სცნობს საქმე სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს. საბოლოო წერილობით წარმომადგენლები არ თანუგრძნობენ სამედიატორო სასამართლოს და ცდილობენ ჯერ-ჯერობით ამ გზით სცადონ სპარსეთის მთავრობის შეთანხმება.

თეირანი. შაჰის ნებართვით 25 სრილი, ემირი და წარჩინებული სპარსელი გამოცხადდენ მეჯლისში და განაცხადეს, რომ უკანასკნელ საშუალებამდე იბრძოლებენ კონსტიტუციის და პარლამენტის დასაცავათ. მეჯლისის სხდომა დიდის ოვაციებისა და გაშის შემდეგ დაიხურა.

ხოლერა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ებიდემიის დასაწეისიდან ხოლერით ავათ გახდა 379, გარდაიცვალა 174 კაცი.

სარატოვი. 16 ენკენ. ხოლერით ავათ გახდა მთელს გუბერნიაში 26 კაცი, მოკვდა 15.

ომსკი. 16 სექტემბერს ხოლერით ავათ გახდა 26 კაცი, მოკვდა 14.

სამარა. 16 სექტემბერს ხოლერით ავათ გახდა 5 კაცი, მოკვდა 5.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
სკოლებში შესასწავლი
ქართველი მწერლები
მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.
წიგნი პირველი,
მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (3—6—3)

კლინიკა
კბილის ავათმყოფობისა
ლ. შტრე ხერისა
კბილის ხაეძიმო სკოლასთან
ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).
ავათმსოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან
ფასი მკურნალობისა:
საექიმო რჩევა საზოგადოთ . 20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება 20 „
კბილის გაწმენდა . . 50 „
არის უფრო ძვირიც:
პლომბა გუდაპერჩისა . . 50 „
„ „ ცემენტისა. . 1 მ.
„ „ მეტალიური . 1 „
„ ვერცხლისა ამალგამა 1 „ „ 50 „
„ „ ემალისა . . 1 „ „ 50 „
„ „ ფაიფურისა . 3 „ „ 50 „
არის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე:
„ „ წმინდა ოქროსი . 3 „
უფრო ძვირიც.
ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:
„ „ დიოტორიტიული 1 „
„ „ კრამპონისა . . 1 50 „
ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კვებით:
„ „ თითო კბილი 1 „